პროექტის ავტორი და ორგანიზატორი:

საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო
პროფილი

(გენერალური დირექტორი მანანა გეგიძე)

www.georgianbrand.ge

„ქართული ბრენდის დღე-2004"

„ქართული ბრენდის დღე-2005"

Georgian Chamber of Commerce and Indusrty

იმედი

BORJOMI
ბორჯომი
BORJOMI

სარეკლამო სააგენტო მი-მი-ნო
MI-MI-NO ADVERTISING AGENCY

„ქართული ბრენდის დღე-2006"

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო

საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო

სარკე

Since 2005
ლუდსახარში
ნატახტარი
NATAKHTARI BREWERY

მედიანიუსი
საინფორმაციო-სააუწყებო

106,9 FM FORTUNA ფორტუნა

MD SOFT

n 67/1581
PX 4817/1.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული ბრენდის დღე

„ქართული ბრენდის დღე“ ერთ-ერთი წარმატებული პროექტია, რომლის მნიშვნელობას ადასტურებს მასში მონაწილე კომპანიები, მხარდამჭერები, სპონსორები და მედიაგამოხმაურებები. მოულოდნელი და სასიამოვნო იყო საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ მიხეილ სააკაშვილის დადებითი შეფასება 2005 წლის „ქართულ ბრენდის დღესთან" დაკავშირებით, რაც მან ცნობილ ბიზნესმენებთან საახალწლო შეხვედრაზე გაანაცხადა. ამ აზრისაა არაერთი მაღალი თანამდებობის პირი, ბიზნესმენი და საზოგადოებრივი აზრის ლიდერი. იდეის ავტორების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პროექტმა გაამართლა და ქვეყნის განვითარებასთან ერთად ის უფრო მასშტაბურ სახეს იღებს.

პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს ქართული ბრენდების ფორმირებასა და პოპულარიზაციას შიდა და გარე ბაზარზე, კომპანიებს შორის კონკურენციული ბრძოლის ჯანსაღი მეთოდებისა და ტექნოლოგიების დამკვიდრებასა და ეთიკური ბიზნეს გარემოს არსებობას; კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის სტიმულირებას, საქართველოს ბიზნესში მიმდინარე პოზიტიური პროცესების მხარდაჭერასა და საზოგადოებისათვის საფუძვლიანი ინფორმაციის მიწოდებას.

შეფასების კრიტერიუმები: ბრენდის შექმნის მარკეტინგული მიზანი და სტრატეგია, მომხმარებლის მიზნობრივი სეგმენტი და პოზიციურობა, კრეატიული სტრატეგია და ბრენდის შექმნის ეტაპები, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების სტრატეგია, მედია სტრატეგია და ბრენდის წინ წაწევის პროგრამის რეზულტატი.

პროექტში ჩართულია მრავალი ექსპერტი - PR-ის, მარკეტინგისა და რეკლამის სპეციალისტი, რომელთა შეფასებით ხდება სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული ბრენდების გამოვლენა და დაჯილდოება სპეციალური დიპლომებითა და პრიზებით.

2006 წლის ნომინაციები

„წარმატებული ახალი სახელი“

„რეპუტაცია და ნდობა“

„ლიდერი“

„VIP ბრენდი“

„ქველმოქმედი“